საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 9 21 0001072263

11/10/2021

**„ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2021 წლის 5 ოქტომბრის №1029091 სამსახურებრივი ბარათისა და „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ" ცენტრის დირექტორის 2020 წლის 25 მაისის №408413 ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2018 წლის 06 მარტის №170 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

**ა) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს წესი არეგულირებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა (შემდგომში - ექსპერტთა) შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხებს.";

**ბ) მე-3 მუხლის:**

**ბ.ა) $1^1$ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„$1^1$. ექსპერტი, რომელიც იმავდროულად არის საჯარო მოხელე, შესაძლებელია მონაწილეობდეს მხოლოდ იმ საქმისწარმოებაში, რომლის ფარგლებშიც ავტორიზაციის/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების საგანს წარმოადგენს რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.";

**ბ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ამ წესის მიხედვით ექსპერტთა კორპუსი იყოფა ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტებად.";

**გ) მე-5 მუხლის მე-2 და $2^1$ პუნქტები ამოღებული იქნეს;**

**დ) მე-8 მუხლი ამოღებული იქნეს;**

**ე) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 13. ექსპერტთა საქმიანობის ანაზღაურება**

ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა კორპუსის წევრების საქმიანობის ანაზღაურების წესი განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.";

**ვ) მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ზოგადსაგანმანათლებლო/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა საქმიანობის შეფასების კითხვარს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნის პროექტის ჩაბარებამდე ავსებს საგანმანათლებლო დაწესებულება, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული დასკვნის ჩაბარების შემდეგ ავსებს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე/თანათავმჯდომარე, ხოლო ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ ცენტრის თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იყო ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის ეფექტიან წარმართვაზე.";

**ზ) მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. ექსპერტის მიმართ ამ წესის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „გ“ ან/და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, არსებული დოკუმენტაციის, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ცენტრის დირექტორს ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას წარუდგენენ შესაბამისად, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.".

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ